საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2748 2017 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტის – „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ის“ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და „ჰ[3]“ ქვეპუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული საჯარო მმართველობის განხორციელების სტრატეგიული დოკუმენტის – „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020-ის“ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისმა დაწესებულებებმა და მათ სისტემაში შემავალმა უწყებებმა უზრუნველყონ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**